შპს „მტკვარი ჰესი“
MTKVARI HESI

N 2022/09/29-1

29.09.2022

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს ,,მტკვარი ჰესი“-ს მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფლების ზიკილიის და საყუნეთის ტერიტორიაზე, მოწყობილია მტკვარი ჰესის 220კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურის „ახალციხე“-ს დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი.

არსებული ელექტროგადამცემი ხაზის საწყის წერტილს წარმოადგენს 500 კვ ქ/ს ახალციხის 220 კვ სახაზო პორტალი (ს/კ: 62.05.53.806), ხოლო საბოლოო წერტილია - მშენებარე მტკვარი ჰესის სახაზო პორტალი (ს/კ: 62.05.58.020).

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 28-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (220 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომლის სიგრძე 15 კილომეტრზე მეტია).

მოცემულ პროექტზე (ახალციხის მუნიციპალიტეტში მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) 2021 წლის 11 იანვარს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ N 2-19 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 64, 08.09.2017).

შპს ,,მტკვარი ჰესი“-ს მიერ დაგეგმილია არსებული 220 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს № 2 - № 8 საყრდენებს შორის რეკონსტრუქცია ტრასის ცვლილებით - კერძოდ, № 3 კუთხურ-ანკერული საყრდენიდან № 8 კუთხურ-ანკერულ საყრდენამდე. მოცემული პროექტის განხორციელების საჭიროება განაპირობა აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარებულმა ეროზიულმა და მეწყრულმა პროცესებმა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეგხ-ს ნორმალურ რეჟიმში ექსპლუატაციას. აქედან გამომდინარე, დამკვეთის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არასტაბილურ უბნებზე განლაგებული საყრდენები (№ 3; № 4, № 5, № 6, № 7) გადატანილ იქნას სხვა (უსაფრთხო) ადგილას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის, საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

სსიპ გარემოს ეროვნულ. სააგენტო
29 09 2022
№ 5219

საქართველო, ქ.თბილისი 0102. ე. ახვლედიანის ხევი #3, I სართული.
#3. El. Akhvlediani Valley. 1st Floor, 0102 Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 - 2 916 949 e-mail: info@hpp.ge

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შპს ,,მტკვარი ჰესი" წარმოგიდგენთ, მტკვარი ჰესის 220კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურის „ახალციხე"-ს დამაკავშირებელი 220 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;

საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

ლეონტინა გალდავა

შპს „მტკვარი ჰესი"-ს დირექტორი